ხელშეკრულება N 26

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

გორი, სოფელი ბერბუკი **2023 წელი**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“** (შემდგომში _ ,,შემსყიდველი'') **წარმოდგენილი დირექტორის ბონდო მარუაშვილის** სახით და, მეორე მხრივ, შპს „ნოვა“ (ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქ., №45, ს/კ 202358126) (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის მინდობილი პირის კორპორატიული გაყიდვების დირექტორის ალდერ ბოლქვაძის (პ/ნ 61009006312) სახით, რომელიც მოქმედებს 2023 წლის 21 მარტის რწმუნებულების/მინდობილობის საფუძველზე (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №230358934; რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 37231459926223), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს1“ ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: შემსყიდველის სახსრებით 2.1 მუხლში მოცემული საქონლის შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1

N	დასახელება	რაოდ.	განზ.	cpv კოდი	ერთ.ფასი	მთ.ფასი
1	საღებავი FW.PLASTIC PAINT, თეთრი 20 KG	3	ც	44810000	99	297
2	ტიხრის C პროფილი, (0.45x150x3000მმ მოთუთიებული ნაგლინისაგან)	7	ც	44334000	5.9	41.3
3	ტიხრის U პროფილი (0.45x130x3000მმ მოთუთიებული ნაგლინისაგან)	10	ც	44334000	5.1	51
4	10სმ ლილვაკი სახელურით აკრილის საღებავისთვის (0121-311510) Gepardakryl	2	ც	39224210	6.6	13.2
5	სამღებრო ლილვაკი ფასადის FWR DIŞ CEPHE RULO 25CM	2	ც	22600000	12.5	25
6	გამწოვი ვენტილატორი D100 OPTIMA4 ERA	1	ც	39714110	33.4	33.4
7	10 სმ ლილვაკის ბალიში Eurofaze, 2 ცალი (0123-701510)	1	ც	39224210	5.4	5.4
8	ბრტყელი ფუნჯი 60 მმ HARDY 0200-374360	1	ც	392224210	3.7	3.7
9	ემალის გრუნტ-საღებავი 3in1 2.5 ლ ALPINA RAL 7024	1	ც	226000000	77	77
10	სინთეთიკური გამხსნელი FW.SYN.TINNER 0.3 LT	1	ც	398311000	5.9	5.9
11	საღებავის პიგმენტი 0.1 ლ SNIEZKA # 62	1	ც	226000000	4.25	4.25
12	ლილვაკის ბალიში 25 სმ HARDY 0110-714825	1	ც	392242100	12.3	12.3

13	ხის საჭრელი დისკი 115 მმ RODEX RTS36115	1	ც	445142000	6	6
					სულ:	**575.45**

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაა – **575.45 (ხუთას სამოცდათხუთმეტი ლარი და 45 თეთრი)** ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადით.

5.2 მიწოდების ადგილი - გორი, ვახტანგ გორგასლის ქ. N3

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება დასტურდება, სასაქონლო ზედნადების ატვირთვით, რომლის საფუძველზეც ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირია 14.2 პუნქტში მითითებული პირი.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება საქონლის მოწოდების და სასაქონლო ზედნადების ატვირთვიდან, არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7.4 დაფინანსების წყარო - 2023 წლის საკუთარი შემოსავლები.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.6 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. შესყიდვის ობიექტის ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - **დირექტორის მოადგილე- ზურაბ ზარიძე.**

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. და დამოწმებულია ელექტრონულად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

ა(ა)იპ "გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური“
ს/კ 418465315
სახელმწიფო ხაზინა
კოდი : TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

იურიდიული მისამართი: გორი, გრიგოლ ფერაძის ქ., № 5

ფაქტობრივი მისამართი:გორი, სოფელი ბერბუკი

დირექტორი ბონდო მარუაშვილი

Gori Municipality drinking water systems,Wastewater, Melioration Wells, and Pumping Station service

Digitally signed by Gori Municipality drinking water systems,Wastewater, Melioration Wells, and Pumping Station service
Date: 2023.05.05 16:32:26 +04'00'

მიმწოდებელი

შპს „ნოვა“

ს/კ 202358126
ბანკი: ს.ს. თიბისი ბანკი
ბანკის კოდი : TBCBGE22
ა/ა GE05TB7483836050100001

მისამართი: რ. აგლაძის ქ. N45

გენერალური დირექტორის ედიშერ ხიმშიაშვილის მინდობილი პირი კორპორატიული გაყიდვების დირექტორი ალდერ ბოლქვაძე (პ/ნ 61009006312) (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი №230358934; რეგისტრაციის თარიღი: 21.03.2023 წ. სანოტარო მოქმედების ინდ. ნომერი: 37231459926223)

Digitally signed by:
Alder Bolkvadze
(61009006312)
Certified by Signify

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ა(ა)იპ **გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის** თანამშრომლები ზემოაღნიშნულ მიმწოდებელთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

დირექტორი - ბონდო მარუაშვილი

დირექტორის მოადგილე - ზურაბ ზარიძე

იურისტი - შესყიდვების მენეჯერი - ლიკა მეცხვარიშვილი